გორის მუნიციპალიტეტის
მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

საბჭოს საქმიანობის ანგარიში

14 დეკემბერი, 2023 წელი

გორი

საკანონმდებლო გარანტიები
მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

მუხლი 85. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტიები და ფორმები

მერთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

საბჭოს უფლებამოსილება

საბჭოს მიზანია

- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა და მერის საქმიანობაში საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა;
- ✓ გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასა და მერს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა;
- ✓ მერის საქმიანობის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- ✓ მოქალაქეთა ინტერესების წარმოდგენა და დაცვა მერის საქმიანობაში.

საბჭოს უფლებამოსილებები:

- ✓ განიხილოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები;
- ✓ განიხილოს და მერს წარუდგინოს წინადადებები მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და მათი მოგვარების შესაძლო გზების შესახებ;
- ✓ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოაწყოს დისკუსიები და საზოგადოებრივი განხილვები;
- ✓ მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვების და საზოგადოებრივი განხილვების ჩატარების ორგანიზებაში;
- ✓ მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მომზადების პროცესში და განიხილოს ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში წარდგენამდე;
- ✓ განიხილოს მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტების პროექტები;
- ✓ განიხილოს მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები;
- ✓ განიხილოს სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები;

გორის
მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ

- ფუნქციონირებს 2022 წლის ივნისიდან
- შემადგენლობა: 13 წევრი
- დატოვა ერთმა წევრმა

- გარდაიცვალა ერთი წევრი



- დაემატა 2 ახალი წევრი
- ამაჟამად 6 ქალი, 7 კაცი
- ჩატარდა 11 სხდომა
- 60 ამდე გაცემული რეკომენდაცია
- 30 ამდე გათვალისწინებული რეკომენდაცია

საბჭოს ფეისბუქ გვერდი



საბჭოს ელექტრონული ფოსტა
gorismerismrchevltasabcho@gmail.com



საბჭოს ოქმების საჯაროდ ხელმისაწვდომია





საბჭო მერიის ვებ გვერდზე

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები ღიაობასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით

- საბჭოს სხდომის ღიაობა, გამჭირვალობა და ანგარიშვალდებულების, საბჭოსა და მერის ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით ცვლილებების შეტანა დებულებაში.
- მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდის მიზნით,სასურველია მერიამ შეიმუშაოს საჯარო კონსულტაციების გამართვის დამატებითი მექანიზმები.
- გორის მუნიციპლიტეტში არსებული თანადაფინანსების პროგრამებზე ხელმისაწდომობის გაზრდის მიზნით, მერს მიეწოდოს რეკომენდაცია, მერიის ოფიციალურ საიტზე დაიდოს სრულყოფილი და მარტივად აღსაქმელი ინფორმაცია თანადაფინანსების პროგრამების შესახებ. მათი გაცემის წესი,პირობები, ვადები,შერჩევის კრიტერიუმები,სააპლიკაციო ფორმა
- გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისთვის შეიქმნას კორპორატიული მეილები.
- საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მერიის ვებ გვერდის მოწესრიგება
- მერიამ მოამზადოს გორის მუნიციპალიტეტში არსებული უფუნქციო (არაამორტიზირებული) შენობა ნაგებობების ნუსხა, მათი იჯარით გაცემის წესი და კრიტერიუმები.

საბჭოს საქმიანობის შედეგები



გორის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ20. 2023073001

თარიღი:14/03/2023

„გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის, მისი შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 31 მაისის №ბ20.202215114 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკის“ თავმჯდომარის მარინე მღებრიშვილის 2023 წლის 9 მარტის N19/2023068284-20 განცხადების, თამარ თინიკაშვილის 2023 წლის 7 მარტის N19/2023066230-20 განცხადების და ა(ა)იპ „შიდა ქართლის ახალგაზრდული ცენტრი ახალი თაობა“-ს დირექტორის ზურაბ მაჭარაშვილის 2023 წლის 26 იანვრის N10/2023026238-20 განცხადების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. „გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის, მისი შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის მერის 2022

- ✓ საბჭოს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და ეფექტურობის გაზრდის მიზნით დებულებაში ცვლილების განხორციელება.

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

- ✓ საბჭოს სხდომები ღიაა და მასზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ პირს.

- ✓ საბჭოს სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, პირს შეუძლია გამოთქვას მოსაზრება განსახილველ საკითხზე ან/და დასვას კითხვა; ასევე მოახდინოს საკითხის ინიცირება,რომელსაც საბჭო ხმათა უმრავლესობით განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას შემდგომი რეკომენდაციისთვის.

- ✓ საბჭოს სხდომის თარიღის, გამართვის ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სხდომამდე, 2 დღით ადრე მაინც, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან სოციალური ქსელის მეშვეობით.

- ✓ საბჭოს გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები ქვეყნდება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

- ✓ საბჭო წელიწადში ერთხელ წარადგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

- ✓ სხდომის ოქმებზე ხელმისაწვდომობა.

უკუკავშირი მერისგან

- ✓ მერის მიერ საბჭოსათვის სამუშაო მასალების (კორესპონდენციების, პროექტების) გადაცემა და მეორეს მხრივ, საბჭოდან მერისათვის შესაბამისი წინადადებების (რეკომენდაციების) გადაცემა ხორციელდება უშუალოდ, გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოების განყოფილებაში მოძრაობის გარეშე, საბჭოს ოფიციალური ელექრონული ფოსტის ან/და ოფიციალურად გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოების განყოფილების მეშვეობით.

- ✓ საბჭო საკითხის სხდომაზე განხილვის შემდგომ შესაბამის რეკომენდაციას/წინადადებას წერილობით წარუდგენს მერს. საბჭო უფლებამოსილია მერს წარუდგინოს თავისი რეკომენდაცია/წინადადება/მოსაზრება/შენიშვნები.

- ✓ მერის მიერ გათვალისწინებული, გასათვალისწინებელი ან გაუთვალისწნებელი რეკომენდაციების შესახებ წერილობითი უკუკავშირის მიწოდება ხორციელდება საბჭოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე.



საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით

- მერს გაეწიოს რეკომენდაცია დიმიტრი ყიფიანის სახელის პატივსაცემოდ გორის მუნიციპალიტეტში არსებულ რომელიმე სკვერს მიენიჭოს დიმიტრი ყიფიანის სახელი.
- გორის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოხდეს სპორტული მინი სტადიონების შესწავლა და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მათი აღდგენისთვის საჭირო თანხების ბიუჯეტში გათვალისწინება.
- რეკომენდაციის სახით მიეწოდოს მერს, რომ მოხდეს გორის მასშტაბით არსებული მიწისქვეშა გადასასვლელების მოწესრიგება და მათი მოვლის, დაცვის შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება.
- გაიცეს რეკომედაცია,რომ გაკონტროლდეს სამშენებლო ნაგავსაყრელები.
- გაიცეს რეკომენდაცია,რომ გაიწმინდოს სანიაღვრე არხები და სადაც შესაძლებელია, მოხდეს მათი ცხაურებით დაფარვა.
- ისეთი გაურკვეველი წარმოშობის მქონე ქუჩები ქალაქში, როგორიცაა ქარხნის ქუჩა, გმირების ქუჩა, სკვერის ქუჩა, ჩოდრიშვილის ქუჩა - ამ ქუჩების მაცხოვრებლებთან კონსულტაციის საფუძვლეზე მიეცეს მერიას რეკომენდაცია, მოხდეს ალტერნატიული სახელდების შეთავაზება
- რეკომენდაცია მიეცეს მერიას მოახდინოს შუამდგომლობა მუნიციპალური განვითარების ფონდთან და შპს „AWARD“ თან, რათა გაიმართოს ახლაბაღის მიმდინარე სამუშაოების შესახებ საჯარო პრეზენტაცია და განხილვა.
- რეკომენდაცია მიეცეს გორის მუნიციპლიტეტის მერს შეიქმნას სამოქმედო გეგმა,სადაც გაიწერება ის საჭირო აქტივობები,რაც გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საბოლოო დამტკიცებასთან დაკავშირებით.
- რეკომენდაცია მიეცეს გორის მუნიციპალიტეტის მერიას შემუშავდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის შუამდგომლობის წერილი მეჯვრისხევის კულტურის ცენტრის რეაბილიტაცის თაობაზე შესაბამის უწყებასთან.

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით

- რეკომენდაცია მიეცეს გორში სადგურის დასახლებაში მოეწყოს გარე განათება
- რეკომენდაცია მიეცეს გორის მუნიციპალიტეტის მერიას, მოხდეს ოთარშენში არსებული წყლის მიწოდების საკითხის შესწავლა და მოგვარება.
- შეცდომებისა და რისკების, ხარვეზების თავიდან ასაცილებლად, რათა არ მოხდეს ქალაქისათვის ზიანის მიყენება გაიცეს რეკომენდაცია გამოცხადდეს მორატორიუმი გორის ცენტრალურ უბნებში მრავალსართულიანი და მოსახლეობისათვის საფრთხის შემცველი შენობა ნაგებობების მშენებლობაზე,გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საბოლოო დამტკიცებამდე.
- რეკომენდაცია მიეცეს გორის მუნიციპალიტეტის მერიას მოხდეს იმ ქუჩების შესწავლა,რომელთაც არ გააჩნია აბრები და ნუმერაცია.ეტაპობრივად მოხდეს მერიის მხრიდან აღნიშნული საკითხის მოწესრიგება
- „ახალბაღის“ მიმდინარე სამუშაოების შესახებ მოხდეს საჯარო განხილვა ან გაკეთდეს მერიის მხრიდან საინფორმაციო საჯარო შეხვედრა, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებულობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
- იზრუნოს ქალაქში საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობის საკითხზე.
- შ. ჩოჩიშვილის სასპორტო სკოლაში შესასვლელად მოეწყოს ადაპტირებული ინფრასტრუქტურა ეტლით მოსარგელეთათვის.
- სამეფოს ქუჩაზე, ახლად რეაბილიტირებულ ხიდზე განთავსდეს აბრა ძველი ტექსტით, რაც უზრუნველყოფს ხიდის ძველი ისტორიის გაცოცხლებას.

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები მუნიციპალურ ტრასნპორტთან და საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით

- წმინდაწყლის დასახლებაში შუქნიშნის სრულყოფილად მოწესრიგება: საჭიროა შუქნიშნის დამატებითი სექციების მოწყობა უსაფრთხოებისათვის.
- შუქნიშნების საკითხი: სტალინის ქუჩა, პუშკინი-ნინოშვილის ქუჩების კვეთა.
- გორის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოხდეს იმ დასახლებული პუნქტების შესწავლა, სადაც ავტობუსის გაჩერებებია მოსაწყობი და შესაბამისად მათი მოწყობის საკითხის გათვალისიწინება მოხდეს ბიუჯეტში-
- მუნიციპალური ტრასნპორტის ეფექტური მუშაობის ხელშეწყობის მიზნით მოხდეს თითოეული ავტობუსის მარშრუტის დატანა ვიზუალურად ქალაქის რუკაზე, გრაფიკულად პოსტერზე და გამოეკრას ან გაჩერებებზე, ან თავად ავტობუსებში, რაც საშუალებას მისცემს მოსახლეობას, იცნობდნენ ნომრების მიხედვით რა გზას გადის თითოეული ავტობუსი.
- რეკომენდაცია მიეცეს გორის მუნიციპალიტეტს შეისწავლოს რუსთაველის ქუჩაზე არსებული საგზაო უსაფრთხოების მდგომარეობა და მოხდეს შესაბამისი რეაგირება.
- გამოიყოს მუნიციპალური სატრანსპორტო ხაზები თემებში გამავალ ცენტრალურ მარშუტებზე.
- ტრანსპორტის სამუშაო საათების გახანგრძლივება.

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები ახალაგაზრდებთან დაკავშირებით

- რეკომენდაცია მიეცეს გორის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაემატოს ახალი აქტიური წევრები
- ახალაგაზრდული პროექტების დაფინანსების დროს უპირატესობა მიენიჭოს ისეთ პროექტებს, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდული სივრცეების გაჩენას და ტექნოლოგიური მიმართულებით ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარებას.
- მრჩეველთა საბჭო რეკომენდაციას უწევს მერიას აქტიურად იმუშაოს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით და ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ახალგაზრდული ცენტრების შექმნას და ხელშეწყობას.
- რეკომენდაცია მიეცეს მერიას გაზარდოს გორის ახალაგაზრდულ ცენტრზე (ქ.გორი სუხიშვილის ქუჩა) ხელმისაწდომობა, ისეთი მიდგომითა და გრაფიკის შემუშავებით, რაც საშუალებას მისცემს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ისარგებლონ საღამოს საათებში ან შაბათ კვირას (რისი საჭიროებაც გამოიკვეთა ახლაგაზრდებთან ჩატარებული კვლევის ფარგლებში).
- სოფლად მცხოვრები მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისათვის დაინერგოს მოსწავლეთა და სტუდენტთა ბარათებით სარგებლობის საშეღავათო პრაქტიკა. მერიაში შეიქმნას კომისია, რომელიც იმუშავებს მოწყვლადი ჯგუფებისათვის საშეღავათო პაკეტების კრიტერიუმების შემუშავებაზე მრჩეველთა საბჭოს მონაწილეობით.
- ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მერიამ შეიმუშაოს დამატებითი პროგრამა ანაზღაურებადი სტაჟირების მიმართულებით, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ ახალგაზრდებს სტაჟირება გაიარონ მერიის სამსახურებსა თუ აიპებში აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის პოპულარიზებას, ასევე ახალგაზდების დაინტერესებას ადგილობრივი თვითმართველობის მიმართ.

შესრულებული რეკომენდაციები





მოსახლეობის ონლაინ გამოკითხვა:

376 პასუხი



გორის მუნიციპალიტეტის
მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

მოსახლეობის გამოკითხვა გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემუშავებისთვის

მოგმართავთ თხოვნით, შეავსოთ ქვემოთ მოცემული კითხვარი და ჩაერთოთ 2024 წლის გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში.
თქვენი აზრი უმნიშვნელოვანესია. გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდება მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე. ასევე მოგაწვდით ინფორმაციას, გამოკითხვის დროს თქვენ მიერ დასახელებული საკითხების გათვალისწინება მოხდა თუ არა 2024 წლის ბიუჯეტში.

დიდი მადლობა მონაწილეობისათვის!





გამოვლენილი საჭიროებები

- **ახალგაზრდული მიმართულები**
- ● ბავშვთა განვითარებაზე ზრუნვა.
- ● საბავშვო ბაღებში სათამაშოების რეგულარული მომარაგება.
- ● სპორტის სხვა და სხვა სახეობების განვითარებაზე ზრუნვა (ცურვა, ტანვარჯიში, მძლეოსნობა...) და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვა.
- ● პროფესიული განათლების ხელშეწყობა და მხარდაჭერა.
- ● თანამედროვე ტექნოლოგიების ცენტრი ახალგაზრდების განვითარების მიზნით.
- ● ახალგაზრდების ხმის გაძლიერება მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიღების
- პროცესში.
- ● სამგზავრო ავტობუსებზე მოსწავლეებზე და სტუდენტებზე შეღავათიების დაწესება.
- ● ახალგაზრდული კრეატიული იდეები დაფინანსება.
- ● ახალაგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა.
- ● სკვერები, შეკრების ადგილები ახალგაზრდებისთვის, მწავნე სივრცეები, მოედნები.

გამოვლენილი საჭიროებები

გორის მუნიციპალიტეტის
მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

- **სოციალური**
- ● სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობისთვის საყოფაცხოვრებო მდგომარეობის
- გაუმჯობესების ღონისძიებები.
- ● შშმ. პირების დასაქმება.
- ● ვეტერანებზე სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესება.
- ● მარტოხელა პენსიონერების წამლებით მომარაგება.
- ● საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ინკლუზიური განათლების მხრივ, ასევე სსსმ
- მოსწავლეებისა და შშმ პირთა მშობლების მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.
- ● (შესაძლებლობის ფარგლებში) მოსწავლეთა უფასო კვების ორგანიზება სკოლაში. თუ ეს როგორმე შესაძლებელი იქნება.
- ● მეტი კულტურული ღონისძიებების მოწყობა.
- ● აღმზრდელების ჯანდაცვის დაზღვევა,ხელფასის ნორმალური მომატება (?)
- ● ყველაზე მეტად მტკივა უპატრონო ძაღები რომ დადიან ქუჩებში (ქუჩებში უპატრონო ძაღლების პრობლემის მოგვარება)
- ● შშმ პირებისათვი სსაჯარო სივრცეებში ადაპტირებული გარემოს მოწყობა.
- ● მრავალშვილიან ოჯახებზე ფინანსური დახმარება და მუნიციპალურ გადასახადებზე შეღავათის გათვალისწინება.
- ● სისტემატური კონტროლი სასმელი წყლის ხარისხზე. ის გაუმჯობესება.
- ● სამგზავრო ავტობუსების მუშაობის საათების გაზრდა.
- ● განსაკუთრებული საჭიროების ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის დაფინანსების თანხის გაზრდა.

გამოვლენილი საჭიროებები

- ინფრასტრუქტურა
- ● ძველი ბაზრის ტერიტორიის ათვისება
- ● სოფლებში დანგრეული ხიდების რეაბილიტაცია
- ● სკოლებში სპორტდარბაზების რეაბილიტაცია
- ● ახალბაღის რეაბილიტაციის დასრულება
- ● სოფლებში ინფრასტრუქტურისა და კულტურული დაწესებულებების მოწყობა
- ● ხიდისთავში სანიაღვრე ჭისა და შიდა გზების მოწყობა
- ● უბნებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოგვარება, მდინარეების ნაპირსამაგრი სამუშაოების წამოწყება და სატრანსპორტო საშუალებების შეცვლა უსაფრთხო და საიმედო გადაადგილებისთვის
- ● ხელთუბანში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა
- ● შიდა უბნების მოასფალტება
- ● საბავშვო ბაღების სარემონტო სამუშაოები
- ● სოფლის შიდა გზების გაკეთება
- ● ზებრების მკვეთრად დახაზვა
- ● სუხიშვის ქუჩაზე მდებარე 5 სართულიანების გარე ფასადის რეაბილიტაცია .
- ● შიდა სარწყავი არხების გაწმენდა
- ● გორში გადატვირთული მოძრაობის განსატვირთად ალტერნატიული გზების
- მოწესრიგება
- ● გარემოს დაცვა,სანიაღვრე არხების მოწყობა
- ● საკანალიზაციო სისტემის მოწყობა
- ● კვერნაკის დასახლებაში არსებული მერვე სკოლის რეაბილიტაცია
- ● სტადიონების რეაბილიტაცია.
- ● საალტერნატივო გზების არსებობა სოფლებში და ქალაქებში მძიმე ტრანსპორტისთვის
- ● მდინარე მტკვრის ნაპირსამაგრი სამუშაოები და კალაპოტის ამოსუფთავება

გამოვლენილი საჭიროებები

- **გარემოსდაცვა და სოფლის პოლიტიკა**

- ● გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება და სოფლის ახალგაზრდების
- განათლებაზე ზრუნვა პრიორიტეტულია.
- ● რეკრეაციული ზონების მოწყობა
- ● გათვალისწინებული უნდა იყოს საქ.მოსახლეობი მდგომარეობა
- დახმარებები სტიქიით დაზარალების შემთხვევაში
- ● სასმელი და საირიგაციო წყლის დეფიციტი სოფლად
- ● ყველა სოფელში მოეწყოს დასასვენებელი სკვერები ახალგაზრდობისთვის, შეეწყოთ
- ახალგაზარდებს ხელი,რათა სოფელი არ დაიცალოს
- ● სამოქალაქო ინიციატივების დაგეგმვა,მხარდაჭერა და
- განხორციელება,მაგალითად,კონკურსი ყველაზე მწვანე/სუფთა უბანი, ეზო და ა. შ.
- ● საჭიროებების დაკმაყოფილება არ უნდა ხდებოდეს გარემოს დაზიანება-ინტერვენციის ხარჯზე,
- ● სოფელში ნაგვისგასატანი მანქანების მეტი ინტენსივობით მოძრაობა.
- ● ნაგვის ურნების დეზინფექცია/სანიტარიზაცია

საბჭოს მიერ გაცემული საბიუჯეტო რეკომენდაციები

გორის მუნიციპალიტეტის
მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

რეკომენდაციების მიზანია გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის ეფექტური დაგეგმარება

1. ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მერიამ შეიმუშაოს დამატებითი პროგრამა ანაზღაურებადი სტაჟირების მიმართულებით, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ ახალგაზრდებს სტაჟირება გაიარონ მერიის სამსახურებსა თუ აიპებში. აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის პოპულარიზებას, ასევე ახალგაზდების დაინტერესებას ადგილობრივი თვითმართველობის მიმართ.

2. გორის მერიის მხრიდან რეკომენდაცია გაეწიოს სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს, 2024 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინონ სათამაშოების განახლების და მომარაგების საკითხი.

3. გამწვანების, სკვერების მოვლა პატრონობის და ქალაქის იერსახის გაუმჯობესების პროცესში მოსახლეობის ჩართვის მიზნით, მერიამ შეიმუშაოს საპილოტე, საკონკურსე პროგრამა- „ყველაზე მწვანე უბანი, მოვლილი სკვერი, საერთო ეზო“ და უზრუნველყოს მოსახლეობის წახალისება.

4. მერიამ აქტიურად იზრუნოს სოფლებში მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფის საკითხზე.

5. სამგზავრო ავტობუსებზე მოსწავლეებზე და სტუდენტებზე შეღავათების დაწესება.

საბჭოს მიერ გაცემული საბიუჯეტო რეკომენდაციები

6. ორთაშენის საკანალიზაციო სისტემის დასრულება.

7. გენგეგმის საბოლოო დამტკიცებისათვის ექსპერტული სამუშაოებისა და ტექნიკური დავალებებისათვის თანხის გათვალისწინება ბიუჯეტში.

8. მერიის მხრიდან გენგეგმის საკითხის ღიაობის უზრუნველყოფის მიზნით საჯარო განხილვის მოწყობა.

9. საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა ქალაქ გორში.

10. სანიაღვრე არხებთან დაკავშირებული მწვავე კერების გამოვლენა და პრობლემის მოგვარების უზრუნველყოფა.

11. ქუჩების დამისამართება და ინოვაციური, ქალაქის იდენტობის დამახასიათებელი აბრების დამზადება.

12. შშმ პირთა გარემოსთან ადაპტირებისათვის ბიუჯეტში წელიწადში ერთხელ 30 ეტლის შესყიდვის ხარჯების გათვალისწინება

13. ვერხვების დასახლებაში სუხიშვილის ქუჩაზე ხუთსართულიან კორპუსებთან, გამოსასვლელში ფეხით მოსიარულეთათვის შუქნიშნის მოწყობა.

14. გორის შ. ჩოჩიშვილის სახელობის სასპორტო სკოლაში შშმ ბავშვებისათვის

ადაპტირებული ინფრასტრუქტურის (პანდუსის ან ლიფტის) მოწყობა.

შედეგები

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი

Lsgindex.org





2021 წელი: საერთო შეფასება 26%, 38 ადგილი 64 მუნიციპლიტეტიდან
მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება -35%

2023 წელი: საერთო შეფასება 41%, მე-18 ადგილი 64 მუნიციპალიტეტიდან
მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება -55%

მადლობა ყურადღებისთვის